ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №162

დაბა ხულო 29 ივლისი 2016 წ

ერთის მხრივ ხულოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის ბესიკ ბაუჩაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,B&B" (შემდგომში–მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ბერდია ბანძელაძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **SPA160016733** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. **შესყიდვის ობიექტი**

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მთა საჯოგიადან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანის სამუშაოების (შემდგომში - სამუშაოები) (CPV 45200000) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი დანართების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **872811 (რვაასსამოცდათორმეტი ათას რვაას თერთმეტი)** ლარს.

2.2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება განისაზღვრება დანართი №1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.4. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ეროვნულ ვალუტაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 3. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მასალების ხარისხი.

3.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ან/და მათი ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.

3.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4. მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში;

3.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

3.6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ შესაბამისი ბრძანებით დანიშნული პირი/პირები ტექნიკური ზედამხედველები.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

4.2. პროექტის განხორციელებაში მონაწილე ყველა სუბიექტი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები მშენებლობის მომზადების, წარმოების და ზედამხედველობის პროცესში, აგრეთვე ობიექტის აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) პროცედურების გავლისას. აღნიშნულ მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს კანონები, ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის გამოცემული აქტები, სამშენებლო ნორმები და წესები, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტები.

4.3. ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია დეტალურად გაეცნოს სამშენებლო ობიექტის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვები, სამუშაოთა მოცულობები, განზომილებები, ობიექტის საბოლოო სახით დასრულებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციას), ასევე თითოეული დოკუმენტის ურთიერთ შესაბამისობას და წერილობითი ფორმით წარმოადგინოს შეუსაბამობებთან დაკავშირებული ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული ინფორმაცია დამუშავებული იქნება შემსყიდველის მიერ და განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (რომლის განსაზღვრაც წინასწარ შეუძლებელია) მუნიციპალიტეტის გამგეობა აღარ განიხილავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების ვადის გაგრძელების საკითხს. მიმწოდებლის მხრიდან წერილის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა მუნიციპალიტეტის მხრიდან ჩაითვლება შენიშვნების არარსებობად.

4.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ფორმით შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები (მათ შორის: ფარული სამუშაოების აქტით დადასტურებული) შემსყიდველის მხრიდან არ მიიღება და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმდება, თუკი იგი არ წარმოადგენს ფუნქციური დატვირთვით დასრულებული სახის სამუშაოს ან/და მისი გამოყენება შემდგომში სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ტექნოლოგიური და სხვა თვალსაზრისით შეუძლებელი იქნება.

4.5. სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც მთლიანობაში (2016-2017 წწ) არ უნდა აღემატებოდეს 150 (ასორმოცდაათი) კალენდარულ დღეს.

4.6. მიმწოდებლისთვის 2016 წლის დასრულებამდე სავალდებულო მოთხოვნაა შესრულდეს შემდეგი სამუშაოები: ა) სათავე ნაგებობა #1 და მაგისტრალი შესართების ადგილამდე (უბანი-1); ბ) სათავე ნაგებობა #2 და მაგისტრალი შესრთების ადგილამდე (უბანი-2); გ) მაგისტრალური მილსადენის მოწყობა #1 და #2 უბნების შეერთების ადგილიდან (მთა საჯოგია) შუალედურ ავზამდე (მთა ბოდიში) სიგრძით არანაკლებ 3000 (სამიათასი) მეტრი.

4.7. მიმწოდებელმა 4.6 პუნქტში მოცემული სამუშაოები უნდა შეასრულოს მის მიერ წარმოდგენილი 2016 წელს შესასრულებელი სამუშაოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის მიხედვით, არაუგვიანეს 80 (ოთხმოცი) კალენდარული დღის ვადაში, შესაბამისად 2016 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში.

4.8 2017 წელს მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა შეასრულოს მის მიერ წარმოდგენილი 2017 წელს შესასრულებელი სამუშაოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

4.9 2017 წელს შესასრულებელი სამუშაოები მიმწოდებელმა უნდა დაიწყოს 2017 წლის 1 (პირველი) მაისიდან და უნდა დაასრულოს არაუგვიანეს 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, შესაბამისად 2017 წლის 09 ივლისისს ჩათვლით პერიოდში.

4.10. მიმწოდებელმა სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და უნდა დაასრულოს 360 (სამას სამოცი) კალენდარულ დღეში. რთული რელიეფურ-

კლიმატური პიროებიდან გამომდინარე შემსყიდველის მიერ არასამუშაო თვეებად აღებულია შემდეგი თვეები: 2016 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2017 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი.

4.11 სამუშაოები საბოლოოდ დასრულებულად ჩაითვლება შემსრულებლის მიერ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის დასკვნის საფუძველზე.

4.12 საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის (სამუშაოების საბოლოოდ დასრულებისთვის) მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტი (ფორმა N2), ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გადახდის სერთიფიკატი დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლ(ებ)ის მიერ და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, რითაც უნდა დადგინდეს: 1. შესრულებულ სამუშაოთა და ხარჯთაღრიცხვით (ხელშეკრულების დანართი #1) ფიქსირებული მოცულობების და ფასების შესაბამისობა, 2. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამისათვის მიმწოდებელმა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში ან სხვა აკრედიტებული პირთან მიმართვა შესრულებულ სამუშაოთა დადასტურების მიზნით უნდა წარადგინოს შემდეგი ფორმით: „წარმოდგენილ სამუშაოთა ფორმა N2-ის მიხედვით გთხოვთ, დაგვიდგინოთ: 1. მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა N2-ით) წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით (ხელშეკრულების დანართი #1) გათვალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებაში; 2. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი".

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 სამუშაოს შუალედური მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მიღება-ჩაბარების აქტი (ფორმა N2), ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გადახდის სერთიფიკატი დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ.

5.2 2016 წელს მთლიანად შესასრულებელი სამუშაოების დასრულებისას და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საბოლოოდ დასრულებისას მიღება-ჩაბარების (სამუშაოების საბოლოოდ დასრულების) მიზნით მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტი (ფორმა N2), გადახდის სერთიფიკატი და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლ(ებ)ის მიერ და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, რითაც უნდა დადგინდეს: 1. შესრულებულ სამუშაოთა და ხარჯთაღრიცხვით (ხელშეკრულების დანართი #1) ფიქსირებული მოცულობების და ფასების შესაბამისობა, 2. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამისათვის მიმწოდებელმა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში ან სხვა აკრედიტებული პირთან მიმართვა შესრულებულ სამუშაოთა დადასტურების მიზნით უნდა წარადგინოს შემდეგი ფორმით: „წარმოდგენილ სამუშაოთა ფორმა N2-ის მიხედვით გთხოვთ, დაგვიდგინოთ: 1. მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა N2-ით) წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით (ხელშეკრულების დანართი #1) გათვალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებაში; 2. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი".

5.3. შესყიდვის ობიექტის მიღებას ახორციელებს ტექნიკური ზედამხედველობის (ინსპექტირების) ჯგუფი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები: სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.4 სამუშაოს ეტაპების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს

შემსყიდველის მიერ შესაბამისი ბრძანებით დანიშნული ან შესაბამისი ტენდერით გამოვლენილი პირი/პირები ტექნიკური ზედამხედველები.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი; ა.ა. მიმდინარე წელს შესაძლებელია მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდეს არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობით, აღნიშნული არ წარმოადგენს მიმწოდებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეჩერების საფუძველს.

ბ) შესრულებული სამუშოების ანაზღაურება (ანგარიშსწორება) მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად შემდეგი წესით:

ბ.ა. თითოეულ ეტაპზე ხელშეკრულების ღირებულების არანაკლებ 15%-ი შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში, ჯამური შუალედური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს სახელშეკრულებო ღირებულების 80%–ს.

ბ.ბ. მიმდინარე წელს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის, გადახდის სერთიფიკატის და საგადასახადო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ.გ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის ამოწურვამდე (სამუშაოების დაუსრულებლობის შემთხვევაში) არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე აუცილებელ პირობას წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის თანხის ოდენობაზე წარმოდგენილი იქნას საავანსო საბანკო გარანტია (გაცემული უშუალოდ ბანკის მიერ), საიდანაც ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ სახელშეკრულებო ღირებულების 15%-ის თანხაზე მისი წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

ბ.დ. დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის ანაზღაურება (საბოლოო ანგარიშსწორება) მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2), სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის, გადახდის სერთიფიკატის და საგადასახადო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ.ე. საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის გახმობა (გამოთხოვა) მიმწოდებლის მხრიდან შესაძლებელი იქნება მხოლოდ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

ბ.ვ. იმ შემთხვევაში თუკი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მოხდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების კორექტირება, ანგარიშსწორება განხორციელდება კორექტირებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი კორექტირებული საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში;

ბ.ზ. შემსყიდველი უფლებამოსილია შუალედური ეტაპების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების შემდეგ, არ განახორციელოს მომდევნო ანგარიშსწორება სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადის დასრულებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეში უზრუნველყოს შესრულებულ სამუშაოებზე

სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);

დ) თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ღირებულების ანაზღაურებაზე;

ე) შემსყიდველი ახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ს დაკავებას. თანხის დაკავება იწარმოებს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად, გადახდის სერტიფიკატის, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურაში ნაჩვენები თანხების პროპორციულად 5%-ის ოდენობით;

ვ) სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ მიმწოდებელს დაუბრუნდება დაკავებული თანხის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი დაუბრუნდება სამუშაოების დასრულებიდან (საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 1 წლის შემდეგ მას შემდეგ, რაც ტექნიკური ზედამხედველი დაამოწმებს, რომ მის მიერ ყველა მითითებული დეფექტი აღმოფხვრილია მიმწოდებლის მხიდან ან დაკავებული თანხის მეორე ნახევარი მიმწოდებელს მიეცემა სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ შესაბამისი საბანკო გარანტიის (გაცემული მხოლოდ ბანკის მიერ) წარდგენის საფუძველზე;

ზ) პროექტის დასრულებიდან (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 1 თვის ვადაში დარჩენილ 2,5 % თანხაზე საბანკო გარანტიის (გაცემული მხოლოდ ბანკის მიერ) წარმოუდგენლობის შემთხვევაში თანხის ანაზღაურება განხორციელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ;

თ) შესრულებული სამუშაოების მონიტორინგს ახორციელებს და თანხის ანაზღაურებაზე გადაწყვეტილებას იღებს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კომისია.

მუხლი 7. გარანტია-დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაო განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად; შესყიდვის ობიექტზე გამოყენებულ მასალების და კონსტრუქციების საგარანტიო პერიოდი განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი ვადით.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს 3 წელს სამუშაოების დასრულებიდან.

7.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ გონივრულ ვადაში არაუგვიანეს 15 კალენდარულ დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგამსატეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,03% ოდენობით.

7.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან ვადის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.3. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურში ჩააყენოს

მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;
8.6. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
8.7. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.8. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
8.9. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით;
8.10. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;
8.11. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.12. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.13. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში შეასრულოს დანართი №1-ით განსაზღვრული ყველა სამუშაო.
8.14. ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით და/ან სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ;
8.15. აწარმოოს სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გამოცდები, გააფორმოს საერთო და სპეციალური სამუშაოების წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები;
8.16. სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
8.17. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს;
8.18. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;
8.19. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და არსებული ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად;
8.20.სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 3 (სამი) დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;
8.21.უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლის უნარიანობა.
8.22. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;
8.23. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.24. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.
8.25. შემსყიდველის მხრიდან ცალმხვრივად ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დაჩქარებული წესით უზრუნველყოს ობიექტზე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებულების დადგენა სსიპ-ლევან სამხარაულის

სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი მიმართვიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში დაფაროს ზემოაღნიშნული საექსპერტო დასკვნის სახელშეკრულებო ღირებულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი სამუშაოებს არ დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, აღნიშნული დღეების გასვლის შემდეგ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ არდაწყებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი ფორმით წარმოადგინოს ინფორმაცია ობიექტზე სამუშაოების დაწყების თაობაზე, რომელიც უნდა დადასტურდეს ტექნიკური ზედამხედველის მიერ.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ 9.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხვრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები არ დასრულდება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ სამუშაოების დასრულებისათვის დადგენილ ვადაში და ხელშეკრულების მე-6 მუხლის ბ.გ. პუნქტის გათვალისწინებულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი საავანსო გადახდის საბანკო გარანტია, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წარმოდგენისათვის დადგენილ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით და აქვე შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხვრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4. იმ შემთხვევაში, 2016 წელს შესასრულებელი სამუშაოები და მთლიანად ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები არ დასრულდება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ სამუშაოების დასრულების ვადაში, აღნიშნულ ვადამდე მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისათვის დადგენილ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,03%-ის ოდენობით.

9.5. იმ შემთხვევაში, თუ 9.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს სახელშეკრულებო ღირებულების 0,3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხვრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.6. მიმწოდებელს სამუშაოების უხარისხოდ და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში არსებული ხარვეზის/ხარვეზების აღმოუფხვრელობის ან/და შემდგომ განმეორების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,03%-ის ოდენობით. ასევე, მიმწოდებლის მიერ მითითებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხვრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.8 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით;

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის

შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

12.4 შემსყიდველს შეუძლია ცალმხვრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) მიმწოდებელის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) ნაკისი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები.

გ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.6 შეიძლება ხელშეკრულება შეწყდეს ასევე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა,

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებას იტოვებს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა მოითხოვოს გარანტორისგან.

14.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია **სს „პროკრედიტ ბანკი"-ს მიერ 2016 წლის 22 ივლისს გაცემული №1538978 ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია თანხით 21821 (ოცდაერთი ათას რვაასოცდაერთი) ლარი**, რომლის მოქმედების ვადაა 2017 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.

14.3 მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნდება ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია.

14.4 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

მუხლი 15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების მე-6 მუხლის ,,ე" ,,ვ" ,,ზ" პუნქტების და მე-7 მუხლისა.

16.2. ხელშეკრულების მე-6 მუხლის ,,ე" ,,ვ" ,,ზ" პუნქტები ძალაშია საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1(ერთი) წლისა და 1 (ერთი) თვის განმავლობაში, ხოლო მე-7 მუხლი ძალაშია საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლისა და 1 (ერთი) თვის განმავლობაში.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ხულოს მუნიციპალიტეტი	შპს ,,B&B"
მის.: დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1	მის: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახ. N33ა
ს/კ 248 056 311;	ს/კ 404390039
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს.ს. „პროკრედიტ ბანკი",
ანგ. №GE24NB0330100200165022	ანგ. № GE16PC0053600100021498
ბ/კ: TRESGE22	ბ/კ: MIBGGE22
	შპს ,,B&B"-ის
ხულოს მუნიციპალიტეტის	დირექტორი
გამგებელი	ბერდია ბანძელაძე
ბესიკ ბაუჩაძე	
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ღირებულება **872811** ლარი

მშენებლობის ღირებულების ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ანგარიში

მთა საჯოგიადან ნეგოიანამდე სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობაზე

№	ხარჯთაღრიცხვის ნომერი	ობიექტის, სამუშაოს და ხარჯების დასახელება	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ლარი)				
			სამშენებლო სამუშაოები	სამონტაჟო სამუშაოები	დანადგარები, ავეჯი, ინვენტარი	სხვადასხვა ხარჯები	საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება
1	2	3	4	5	6	7	8
1		თავი I					
		ტერიტორიის მომზადება	სამუშაოები და ხარჯები არ არის				
		თავი II					
2		მშენებლობის ძირითადი ობიექტები					
	.ხ. 1	მთა საჯოგიედან პირველი წყალშემკრების და მაგისტრალის მოწყობა	57200.56				57200.56
	.ხ. 2	მთა საჯოგიედან მეორე წყალშემკრების და მაგისტრალის მოწყობა	45609.30				45609.30
	.ხ. 3	ადგილ ბოდიშთან შუალედური რკინაბეტონის რეზერვუარის მოწყობა	6619.81				6619.81
	.ხ. 4	მილის გადაყვანა მდინარეზე	1446.45				1446.45
	.ხ. 5	მილსადენების მოწყობა მთა საჯოგიედან ადგილ ბოდიშამდე	244504.09				244504.09
	.ხ. 6	მილსადენების მოწყობა ბოდიშიდან ნეგოიანამდე	362746.33				362746.33
		ჯამი თავი II	**718126.54**				**718126.54**
		ჯამი თავი I–II					
		თავი III-XII	სამუშაოები და ხარჯები არ არის				
3		რეზერვი გაუთვალისწინებელ ხარჯებზე 3%	21543.80				21543.80
		ჯამი	**739670.34**				**739670.34**
4		დამატებითი ღირებულების გადასახადი 18 %	133140.66				133140.66
		სულ კრებსითი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	**872811.00**				**872811.00**

შპს „B&B"-ს დირექტორი ბ. ბანძელაძე

მთა საჯოგიადან ნეგოიანამდე სასმელი წყლის მაგისტრალი

ხარჯთაღრიცხვა №1

მთა საჯოგიედან პირველი წყალშემკრების და მაგისტრალის მოწყობაზე

№	სამუშაოს დასახელება	ზანზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
	თავი I. სათავე ნაგებობის მოწყობა				
1	IV ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ადგილზე დაყრით	მ3	2.50	5.00	12.50
2	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით.	მ3	0.50	15.00	7.50
3	დრენაჟის და რკ/ბეტონის წყალმიმღების მოწყობა B=20 ბეტონით	100 მ3	0.04	11000.00	440.00
4	პოლიეთილენის მილი დ-250 PN68 მოწყობა	მ	5.00	50.00	250.00
5	წყალმიმღებ ჭაზე ლითონის თავსახურის მოწყობა კუთხოვანით 50X50X4 და ფურცლოვანით 3მმ	ტ	0.13	1950.00	253.50
6	ფოლადის მილის მონტაჟი დ-159X4 მმ-მდე ჰიდრავლიკური შემოწმებით	მ	3.00	38.00	114.00
7	ფოლადის მილტუჩის მონტაჟი დ-150	ც	4.00	70.00	280.00
8	თუჯის ურდული დ=150მმ მონტაჟი პნ-10	ც	2.00	250.00	500.00
9	სათავე ნაგებობობის სანიტარული ზონის შეღობვა მავთულბადით, დაბეტონებულ ლითონის მილებზე და კუტიკარის მოწყობით.	მ	50.00	50.00	2500.00
10	კუტიკარის კონსტრუქცია (კვ.მილი 50×50×2, მავთულბადე) მოწყობა	ც	1.00	120.00	120.00
	თავი II. დ=150 მმ ფოლადის მაგისტრალური მილსადენი მოწყობა				
1	IV ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ადგილზე დაყრით	მ3	80.00	6.00	480.00
2	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	80.00	15.00	1200.00
3	ფოლადის მილის მონტაჟი დ-159X4 მმ-მდე ჰიდრავლიკური შემოწმებით	მ	1300.00	31.00	40300.00
4	მაგისტრალურ მილსადენზე დ=50 მმ ორმხრივი ვანტუზის კვანძის მოწყობა ფოლადის მილსადენში შეჭრის მოწყობა	კომპლ	2.00	80.00	160.00
5	ლითონის მილების ჰიდროიზოლაცია ბიტუმით 2 ფენა	მ2	612.30	1.00	612.30
6	ტრანშეის შევსება ადგილობრივი გრუნტით მექანიზმით	მ3	80.00	1.00	80.00
7	გრუნტის უკუმიყრა ხელით	მ3	80.00	8.00	640.00
	ჯამი I-II	ლარი			47949.80
	მათ შორის:				
	1. შრომითი დანახარჯი	ლარი			6367.00
	2. მანქანები	ლარი			1267.80
	3. მასალები	ლარი			40315.00
	ჯამი	ლარი			47949.80
	სატრანსპორტო და ამწე-მექანიზმების ხარჯები მასალების ღირებულებიდან არაუმეტეს 5%	ლარი	5%		2015.75
	ჯამი	ლარი			49965.55
	ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 8%	ლარი	8%		3997.24
	ჯამი	ლარი			53962.79
	გეგმიური დაგროვება არაუმეტეს 6%	ლარი	6%		3237.77
	სულ ჯამი	ლარი			57200.56

შპს „B&B"-ს დირექტორი ბ. ბანძელაძე

მთა საჯოგიადან ნეგოიანამდე სასმელი წყლის მაგისტრალი

ხარჯთაღრიცხვა №2

მთა საჯოგიედან მეორე წყალშემკრების და მაგისტრალის მოწყობაზე

№	სამუშაოს დასახელება	ერთეულის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
	თავი I. სათავე ნაგებობის მოწყობა				
1	IV ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ადგილზე დაყრით	მ3	2.50	5.00	12.50
2	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით.	მ3	0.50	14.51	7.26
3	დრენაჟის და რკ/ბეტონის წყალმიმღების მოწყობა B=20 ბეტონით	100 მ3	0.04	11000.00	440.00
4	პოლიეთილენის მილი დ-250 PN68 მოწყობა	მ	5.00	50.00	250.00
5	წყალმიმღებ ჭაზე ლითონის თავსახურის მოწყობა კუთხოვანით 50X50X4 და ფურცლოვანით 3მმ	ტ	0.13	1950.00	253.50
6	ფოლადის მილის მონტაჟი დ-159X4 მმ-მდე ჰიდრავლიკური შემოწმებით	მ	3.00	38.00	114.00
7	ფოლადის მილტუჩის მონტაჟი დ-150	ც	4.00	70.00	280.00
8	თუჯის ურდული დ=150მმ მონტაჟი პნ-10	ც	2.00	250.00	500.00
9	სათავე ნაგებობობის სანიტარული ზონის შეღობვა მავთულბადით, დაბეტონებულ ლითონის მილებზე და კუტიკარის მოწყობით.	მ	50.00	50.00	2500.00
10	კუტიკარის კონსტრუქცია (კვ.მილი 50×50×2, მავთულბადე) მოწყობა	ც	1.00	120.00	120.00
	თავი II. დ=150 მმ ფოლადის მაგისტრალური მილსადენი მოწყობა				
1	IV ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ადგილზე დაყრით	მ3	100.00	6.00	600.00
2	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	70.00	15.00	1050.00
3	ფოლადის მილის მონტაჟი დ-159X4 მმ-მდე ჰიდრავლიკური შემოწმებით	მ	1000.00	31.00	31000.00
4	მაგისტრალურ მილსადენზე დ=50 მმ ორმხრივი ვანტუზის კვანძის მოწყობა ფოლადის მილსადენში შეჭრის მოწყობა	კომპლ	2.00	80.00	160.00
5	ლითონის მილების ჰიდროიზოლაცია ბიტუმით 2 ფენა	მ2	471.00	1.00	471.00
6	ტრანშეის შევსება ადგილობრივი გრუნტით მექანიზმით	მ3	100.00	1.00	100.00
7	გრუნტის უკუმიყრა ხელით	მ3	70.00	8.00	560.00
	ჯამი I-II	ლარი			38418.26
	მათ შორის:				
	1. შრომითი დანახარჯი	ლარი			6897.00
	2. მანქანები	ლარი			3078.26
	3. მასალები	ლარი			28443.00
	ჯამი	ლარი			38418.26
	სატრანსპორტო და ამწე-მექანიზმების ხარჯები მასალების ღირებულებიდან არაუმეტეს 5%	ლარი	5%		1422.15
	ჯამი	ლარი			39840.41
	ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 8%	ლარი	8%		3187.23
	ჯამი	ლარი			43027.64
	გეგმიური დაგროვება არაუმეტეს 6%	ლარი	6%		2581.66
	სულ ჯამი	ლარი			45609.30

შპს „B&B"-ს დირექტორი ბ. ბანძელაძე

მთა საჯოგიადან ნეგოიანამდე სასმელი წყლის მაგისტრალი
ხარჯთაღრიცხვა №3

ადგილ ბოდიშთან შუალედური რკინაბეტონის რეზერვუარის მოწყობაზე

№	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	8.00	15.00	120.00
2	მაგისტრალზე შუალედური ავზის მოწყობა მონოლითური რკინა–ბეტონით,	100 მ3	0.07	17550.00	1228.50
3	არსებულ ჭაზე ლითონის თაესახურის მოწყობა კუთხოვანით 50X50X4 და ფურცლოვანით 3მმ	ტ	0.13	2400.00	312.00
4	ფოლადის მილის მონტაჟი დ-219X4,5 მმ ჰიდრავლიკური შემოწმებით	მ	3.00	45.00	135.00
5	ლითონის მილის მონტაჟი დ-273X5 მმ-მდე ჰიდრავლიკური შემოწმებით	მ	1.50	150.00	225.00
6	ფოლადის მილტუჩის მონტაჟი დ-200	ც	2.00	65.00	130.00
7	ფოლადის მილტუჩის მონტაჟი დ-250	ც	2.00	43.50	87.00
8	თუჯის დ=250მმ ურდულის მონტაჟი პნ-10	ც	1.00	400.00	400.00
9	თუჯის ურდული დ=200მმ მონტაჟი პნ-6	ც	1.00	350.00	350.00
10	სათავე ნაგებობობის სანიტარული ზონის შეღობვა მავთულბადით, დაბეტონებულ ლითონის მილებზე და კუტიკარის მოწყობით.	მ	50.00	50.00	2500.00
11	კუტიკარის კონსტრუქცია (კვ.მილი 50×50×2, მავთულბადე) მოწყობა	ც	1.00	120.00	120.00
	ჯამი	ლარი			5607.50
	მათ შორის:				
	1. შრომითი დანახარჯი	ლარი			1571.00
	2. მანქანები	ლარი			536.50
	3. მასალები	ლარი			3500.00
	ჯამი	ლარი			5607.50
	სატრანსპორტო და ამწე-მექანიზმების ხარჯები მასალების ღირებულებიდან არაუმეტეს 5%	ლარი	5%		175.00
	ჯამი	ლარი			5782.50
	ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 8%	ლარი	8%		462.60
	ჯამი	ლარი			6245.10
	გეგმიური დაგროვება არაუმეტეს 6%	ლარი	6%		374.71
	სულ ჯამი	ლარი			6619.81

შპს „ & "-ს დირექტორი ბ. ბანძელაძე

მთა საჯოგიადან ნეგოიანამდე სასმელი წყლის მაგისტრალი
ხარჯთაღრიცხვა №4

მდინარეზე ფოლადის მილით გადასასვლელების მოწყობაზე

№	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარში)	სულ ღირებულება (ლარში)
1	2	3	4	5	6
	მილის დამჭერი ბურჯების მოწყობა მდინარის კალაპოტის გადაკვეთაზე				
1	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ბურჯებისათვის ექსკავატორით	მ3	3.50	6.00	21.00
2	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	0.35	15.00	5.25
3	ფოლადის საყრდენი მილების მონტაჟი დგარებად	ტ	0.23	2500.00	575.00
4	საყრდენების დაბეტონება ბ-20	100 მ3	0.03	10400.00	312.00
5	საკიდების მოწყობა 20ც. და ტროსის გაჭიმვა მილის შესაკიდად 20მ.	ტ	0.02	15000.00	300.00
	ჯამი	ლარი			1213.25
	მათ შორის:				
	1. შრომითი დანახარჯი	ლარი			187.00
	2. მანქანები	ლარი			21.25
	3. მასალები	ლარი			1005.00
	ჯამი	ლარი			1213.25
	სატრანსპორტო და ამწე-მექანიზმების ხარჯები მასალების ღირებულებიდან არაუმეტეს 5%	ლარი	5%		50.25
	ჯამი	ლარი			1263.50
	ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 8%	ლარი	8%		101.08
	ჯამი	ლარი			1364.58
	გეგმიური დაგროვება არაუმეტეს 6%	ლარი	6%		81.87
	სულ ჯამი	ლარი			1446.45

შპს „B&B"-ს დირექტორი ბ. ბანძელაძე

მთა საჯოგიადან ნეგოიანამდე სასმელი წყლის მაგისტრალი
ხარჯთაღრიცხვა №5

მთა საჯოგიედან ადგილ ბოდიშამდე წყალსადენის მაგისტრალის მოწყობაზე
(=219 მმ)

№	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
	დ=219 მმ ფოლადის მაგისტრალური მილსადენი მოწყობა				
1	IV ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ადგილზე დაყრით	მ3	900.00	5.00	4500.00
2	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	160.00	15.00	2400.00
3	ფოლადის მილის მონტაჟი დ-219X4 მმ ჰიდრავლიკური შემოწმებით	მ	5100.00	37.80	192780.00
4	მაგისტრალურ მილსადენზე დ=50 მმ ორმხრივი ვანტუზის კვანძის მოწყობა ფოლადის მილსადენში შეჭრის მოწყობა	კომპლ	3.00	80.00	240.00
5	ლითონის მილების ჰიდროიზოლაცია ბიტუმით 2 ფენა	მ2	3507.00	1.00	3507.00
6	ტრანშეის შევსება ადგილობრივი გრუნტით მექანიზმით	მ3	809.00	1.00	809.00
7	გრუნტის უკუმიყრა ხელით	მ3	170.00	8.00	1360.00
8	ზედმეტი გრუნტის მოსწორება მექანიზმით	მ3	91.00	1.00	91.00
	ჯამი	ლარი			205687.00
	მათ შორის:				
	1. შრომითი დანახარჯი	ლარი			31689.00
	2. მანქანები	ლარი			16178.00
	3. მასალები	ლარი			157820.00
	ჯამი	ლარი			205687.00
	სატრანსპორტო და ამწე-მექანიზმების ხარჯები მასალების ღირებულებიდან არაუმეტეს 5%	ლარი	5%		7891.00
	ჯამი	ლარი			213578.00
	ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 8%	ლარი	8%		17086.24
	ჯამი	ლარი			230664.24
	გეგმიური დაგროვება არაუმეტეს %	ლარი	6%		13839.85
	სულ ჯამი	ლარი			244504.09

შპს „B&B"-ს დირექტორი ბ. ბანძელაძე

მთა საჯოგიადან ნეგოიანამდე სასმელი წყლის მაგისტრალი
ხარჯთაღრიცხვა №6
დგილ ბოდიშიდან ნეგოიანის მაგისტრალამდე წყალსადენის მაგისტრალის მოწყობაზე
(დ=219 მმ)

№	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულზე ფასი (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6
	დ=219 მმ ფოლადის მაგისტრალური მილსადენი მოწყობა				
1	IV ჯგუფის გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ადგილზე დაყრით	მ3	1200.00	5.00	6000.00
2	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	300.00	15.00	4500.00
3	ფოლადის მილის მონტაჟი დ-219X4 მმ ჰიდრავლიკური შემოწმებით	მ	7500.00	37.80	283500.00
4	მაგისტრალურ მილსადენზე დ=50 მმ ორმხრივი ვანტუზის კვანძის მოწყობა ფოლადის მილსადენში შეჭრის მოწყობა	კომპლ	5.00	80.00	400.00
5	თუჯის ურდული დ=100მმ მონტაჟი პნ 16	ც	6.00	144.82	868.92
6	ფოლადის მილტუჩის მონტაჟი დ-100	ც	12.00	50.00	600.00
7	ფოლადის მილი დ-100 მმ 4 მმ მონტაჟი	მ	8.00	20.00	160.00
8	ლითონის მილების ჰიდროიზოლაცია ბიტუმით 2 ფენა	მ2	5157.45	1.00	5157.45
9	ტრანშეის შეკსება ადგილობრივი გრუნტით მექანიზმით	მ3	1020.00	1.00	1020.00
10	გრუნტის უკუმიყრა ხელით	მ3	170.00	8.00	1360.00
11	ზედმეტი გრუნტის მოსწორება მექანიზმით	მ3	180.00	1.00	180.00
	ჯამი	ლარი			303746.37
	მათ შორის:				
	1. შრომითი დანახარჯი	ლარი			26500.00
	2. მანქანები	ლარი			14886.37
	3. მასალები	ლარი			262360.00
	ჯამი	ლარი			303746.37
	სატრანსპორტო და ამწე-მექანიზმების ხარჯები მასალების ღირებულებიდან არაუმეტეს 5%	ლარი	5%		13118.00
	ჯამი	ლარი			316864.37
	ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 8%	ლარი	8%		25349.15
	ჯამი	ლარი			342213.52
	გეგმიური დაგროვება არაუმეტეს 6%	ლარი	6%		20532.81
	სულ ჯამი	ლარი			362746.33

შ.პს „ B&B"-ს დირექტორი ბ. ბანძელაძე